[illegible]

№ 366 1918 წ. პარასკევი. ოქტომბრის 25. № 366

# ხალხის საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

## მთავრობამ შეატყობინა ნოტით სომხეთს—ჩვენი ჯარი არ გაანთავისუფლებს ბორჩალოს მაზრის ადგილებს—ეს ომის გამოცხადებად იქნება მიჩნეული. მოსკოვის ცნობებით ლიბკნეჰტი საპყრობილედან გაუნთავისუფლებიათ. ინგლისი ზავის წინააღმდეგა არაა. იტალიაში დიდი საზავო დემონსტრაციებია.

გულმოკლული და თავზარდაცემული ამხანაგები **ნიკოლოზ აბხაძე**, დათიკო მგალობლიშვილი, სევერიანე ფალავა, კოწია ლორთქიფანიძე, შალიკო ხუნდაძე და იოველ ლორთქიფანიძე აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ, რომ ქ. ქუთაისში მიიცვალა დაუვიწყარი ამხანაგი და ძვირფასი მეგობარი

### ალიკო ვერულაშვილი

გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში პარასკევს, ოქტომბრის 25-ს. 1380

ქ. ქუთაისში უდროოდ მიიცვალა იურისტი

### ალექსანდრე (ალეკო) მელქისედეკის ძე ვერულაშვილი

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, სევდით გულმოკლულნი მშობლები: მამა მელქისედეკ ანთიმოზის ძე და დედა ირინე ნიკოლოზის ასული ვერულაშვილნი, სიძე მისი ნიკოლოზ მ. მისაბიშვილი და დები ეკატერინე მისაბიშვილისა და ნინო ვერულაშვილი. დაკრძალვა პარასკევს ოქტომბრის 25-ს ქ. ქუთაისში. 1284

ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი და შვილები მისი თალიკო და სოსიკო აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარი მეუღლისა და დედიკოსი

### ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში, მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ოქტომბრის 27-ს, დილის 10 საათზე. 2185

დეკანოზი იოსები და ოლღა პავლეს ასული წერეთლები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ, რომ მათი უდროოდ დაკარგული უძვირფასესი შვილის

### ვერა ვარაზაშვილის

მიცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ცხრუკვეთში მიცვალებულის საფლავზე, კვირას, ოქტომბრის 27-ს, დილის 10 საათზე. 2185

ქიათურის დრამატიული საზოგადოების გამგეობა და სცენის მოყვარეთა წრე აუწყებს საზოგადოებას, რომ დაუვიწყარი წევრისა და თანამშრომლის

### ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ქიათურის თეატრის დარბაზში კვირას, ოქტომბრის 27-ს, დღის 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. 2185

სოფრომ მარკოზის ძე და მანიჟან ნიკოლოზის ასული ვარაზაშვილები შვილებითა და რძლებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი რძლის

### ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის საკრებულო ტაძარში, კვირას, ოქტომბრის 27-ს. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 2185

პარლამენტის წევრი ალექსანდრე და პორუჩიკი ვლადიმერ იოსების ძენი, მეუღლენი მათი: ელისაბედ ნიკოლოზის ასული და ნინო კონსტანტინეს ასული წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მარად დაუვიწყარის დის

### ვერა ვარაზაშვილის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ანჩისხატის ტაძარში კვირას, ოქტომბრის 27 ს წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი დღის 12 საათზე. 2185

ეფროსინე იაკობის ასული ქიქინაძისა შვილებით ბესარიონ და თამარით აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, ქ. ტფილისში გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი დისწული და მეორეების საყვარელი დეიდაშვილი

### ლევან გიორგის ძე წერეთელი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (არტილერიის ქუჩა, № 5) გამოსვენება იქიდანვე პარასკევს, ოქტომბრის 25-ს, დილის ცხრა საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა ნაწირვებს დიდუბეს სასაფლაოზე. 1288

ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, ქ. ტფილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, უდროოდ გარდაიცვალა ნაფიცი ვექილი

### ლევან გიორგის ძე წერეთელი,

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძმა მისი, ირაკლი წერეთელი, და ელენე დემოლონი და მისი აღმზრდელი დეიდეები, ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეები. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე, მიცვალებულის ბინაზე, არტილერიის ქუჩა № 5. გამოსვენება იქიდანვე პარასკევს, ოქტომბრის 25-ს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაზე, დაკრძალვა ნაწირვებს დიდუბის სასაფლაოზე. 1286

ანასტასია მიხეილის ასული თუმანიშვილი-წერეთლისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს ქალ. ტფილისში, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მისი ძვირფასი

### ლევან გიორგის ძე წერეთელი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. გამოსვენება პარასკევს, ოქტომბრის 25-ს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაზე. დაკრძალვა ნაწირვებს დიდუბის სასაფლაოზე. 1286

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე და ოლღა ალექსანდრეს ასული ნიკოლაძისა, შვილებით: რუსუდან, გიორგი და თამარით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოქტომბრის 21-ს წყნარად მიიძინა ტფილისს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, პირველთ დისწულმა და უკანასკნელების მამიდაშვილმა

### ლევან გიორგის ძე წერეთელმა.

დიდად დამწუხრებულნი: დედა ნინო, მეუღლე ნინო, ძმა პეტრე, რძალი ანა, შვილები: გიორგი, თამარ, შალიკო და ირაკლი, სიძე ივანე თოდუა მეუღლით და შვილებით; აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მსახიობი

### სოსო ივანიძე.

ცხედარს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან დღეს, პარასკევს, ოქტომბრის 25-ს დილის 10 საათზე წმ. მარინეს ეკლესიაში, დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2236

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო აუწყებს კავშირის წევრთ და საზოგადოებას, რომ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრი

### მსახიობი სოსო ივანიძე.

ცხედარს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან დღეს, პარასკევს, ოქტომბრის 25-ს დილის 10 საათზე წმ. მარინე ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2236

ცეცხლმოკიდებულ ასა საბას ასული (ტატულია), თამარ, ელენე ნიორაძენი აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებს უდროოდ გარდაცვალებას საყვარელ და ძვირფას, დაუვიწყარის დის და დეიდის

### ლიზა (ელისაბედ) საბას ასული ერქომაიშვილისას

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1235

გაუბედურებული მშობლები—ოლღა კონსტანტინეს ასული და ერასტი სიმონის ძე თუთბერიძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველთა დაუვიწყარ შვილის უკანასკნელის ძმის

### სერიოჟასი

დანიშნულია ოქტომბრის 27-ს დღით კვირას დილის ათ საათზე ქ. ქუთაისში ბაგრატის ტაძარში. 2235

ვლადიმერ პარმენის ძე და მეუღლე მისი ტიტო ზურაბის ასული კიკნაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი უდროოდ დაკარგული დაუვიწყარი, უძვირფასესი შვილის და სიძის

### ნინო (ნინიჩკა) და ივანე როსტომის ძე ამაშუკელების

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ამაშუკეთში მიცვალებულთა საფლავზე, შაბათს, ოქტომბრის 26-ს (ახალი სტილით). 20

**დილის წარმოდგენა** **სახელმწიფო თეატრი** **დილის წარმოდგენა**

კვირას, ოქტომბრის 27-ს, 1918 წ. საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის. და მთავარ ლოტბარის ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად ტფილისში **ქართულ-გერმანული სამხედრო მუსიკის**

### სანიმუშო კონცერტი.

დამკვრელთა დასების ცალკ-ცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართველ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) ქ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს. შესრულებული იქნება სხვათა შორის ქ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები: იამბიკოები, მუნასიპები, **ქებადები; სავრი** და სხვანი. პროგრამაში შედის აგრეთვე ახლად გაორკესტრებით: **ქართული ეროვნული ჰიმნი**, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, არშაკის ჰიმნი **„ქერპთა დამხობის“** ოპერიდან და სხვები. დასასრულ დაიდგმება საუცხოო აპოთეოზი, ცხოველი სურათის სახით აღიმართება

### თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.

**დასაწყისი შუადღის 12 საათზე.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. ფასები ჩვეულებრივია. 1379

### ახლად ჯარში გაწვეულ ახალგაზრდათა საყურადღებოდ.

საინჟინერო-სატეხნიკო სექციის უფროსი ამით აცხადებს, რომ არსებულ რადიო ტელეგრაფის შესასწავლად საჭიროანი არიან ახალგაზრდა ჯარის კაცნი საშუალო ტეხნიკურის განათლებით. მსურველთ ევალებათ მიმართონ საინჟინერო-სატეხნიკო სექციას, რომელიც იმყოფება ტფილისში სასახლის ქუჩაზედ ყოფილ მთავარი შტაბის შენობაში მეოთხე სართულზედ ნაშუადღევის ორი საათიდან ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

1381 სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი **თაყაიშვილი.**

ტფილისი, ოქტომბრის 25.

**პოლიტიკური ინტრიგა.**

მკითხველებმა, უეჭველია, უკვე იციან, რომ სომხეთმა თავისი ჯარი გადმოიყვანა საქართველოს საზღვარზე და მხოლოდ ჩვენი მთავრობის ენერგიული პროტესტის შემდეგ უკან დაიხია. ჯერ ჯერობით მთავრობას თავისი ოფიციალური ცნობა ამ ინციდენტის შესახებ არ გამოუქვეყნებია და ამიტომ საბოლოოდ ჩვენი აზრისა და დასკვნის გამოყვანას მოვერიდებოდით. მაგრამ ამ ცნობების მიხედვით, რომლებიც გაზეთებში უკვე დაიბეჭდა, არ შეგვიძლიან სათანადო მსჯავრი არ დავსდოთ სომხეთის საქციელს როგორც ირკვევა, სომხეთი თავის მოქმედებას ამართლებს იმით, რომ განსაზღვრული ნაწილი იმ ტერიტორიისა, რომელიც საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენს რომელიც ძალით გამოგვგლიჯა ხელიდან ოსმალეთმა, სომხეთს თავისად მიაჩნია, თანახმად ოსმალეთთან დადებული პირობისა. თუ ეს ცნობა მართალია, თუ სომხეთი თავის უფლებას განსაზღვრულ ტერიტორიაზე ამყარებს ოსმალეთთან შეთანხმებაზე, მაშინ ჩვენ იძულებული გავხდებით აღვიაროთ, რომ სომხეთი შეგნებულად თუ შეუგნებლად პოლიტიკური ინტრიგის მსხვერპლი გამხდარა და დაუწყია არა თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი, არამედ ოსმალეთის საქმეების კეთება. ჩვენ ჯერ-ჯერობით მაინც არა გვჯერა, რომ სომხეთის დიპლომატებმა და პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა წრეებმა კიდევ ახალი პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს. მაგრამ ის კი გვჯერა, რომ ოსმალეთს, რომელიც დღეს იძულებული ჰხდება ამიერ-კავკასია დასცალოს, შეეძლო ასეთი წინადადებით მიემართნა სომხებისადმი და გაესაჩუქრებინა ის, რაც მას არ ეკუთვნის და რაც ასე ანაზდეულად ხელიდან ეცლება.

გვჯერა ეს იმიტომ, რომ ოსმალეთი ამ შემთხვევაში არაფერს აგებს, თუ იგი იძულებული გაჰხდება ამიერ-კავკასია საბოლოოდ დასცალოს, ანდერძად ჰსურს დასტოვოს უთანხმოება, კონფლიქტი, რომელიც საბოლოოდ დაასუსტებს იმ ქვეყანას, რომელიც მის იმპერიალისტურ ზრახვებს უდროვოდ და უხეიროდ გაეჩხირა ყელში. ეს ქვეყანაა საქართველო. რაც უფრო მეტი დრო გაივლის, მით უფრო ცხადი გაჰხდება ყველასთვის, რომ მხოლოდ საქართველოს მიერ დროზე გადადგმულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა გადაარჩინა საქართველო და სომხეთის ნაწილი საბოლოო აოხრებასა და განადგურებისაგან. თუ დღეს ოდნავ სიმშვიდეს მაინც განიცდის სომხეთი, თუ დღეს თავისი შენახული ძალით კვლავ შეუძლიან შეჰხვდეს საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციას, ეს სავსებით საქართველოს მიერ გადადგმულ ნაბიჯს უნდა მიეწეროს. ეს ალბათ ცუდად ახსოვთ სომხებს, მაგრამ ძალიან კარგად იციან ოსმალოებმა, რომელსაც, უეჭველ, მორიგ პოლიტიკურ საკითხად მიაჩნია საქართველოს დასუსტება.

ჩვენ ვფიქრობდით და ეხლაც ვფიქრობთ, რომ სომხეთი ოსმალეთის მიერ გადმოგდებულ ანკესზე არ წამოეგებოდა და შეთანხმებისა და სოლიდარობის ნაცვლად ავანტიურისტულ გზას არ დაადგებოდა. მაგრამ მოვსტყუვდით. მან მოისურვა თარაღათ ლაპარაკი საქართველოსთან, ხოლო დიპლომატიურად—ოსმალეთთან. ოსმალეთს შეუძლიან დღეს არამც თუ დროებით დაპყრობილი ადგილები, ნახევარი საქარ-

ცირკი „მოდერნი“
(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, ოქტომბრის 25-ს, გაიმართება
დიდი საგასტროლო
წარმოდგენა
არტისტიულ ხელოვნების თაიგული
გასტროლი სოლო კლოუნის და მასხარის გ. ნ. ფლორენსისა. სენსაცია! პირველად ტფილისში მოთემატიკაში მოლაპარაკე ძაღლი აგრეთვე სამი ეშმაკი. მონაწილეობს მთელი დასი.
ანონსი: შაბათს, ოქტომბრის 26-ს გაიმართება ბენეფისი ნიკოლინისა.
მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 1292

ქართული ლატარია ქართული
ლატარია 5,000,000 მან.
ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ
პირველი მოგება 100,000 მანეთია.
ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

საინჟინერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგ პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან-საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟინერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა 1375

თველოც კი საჩუქრად მიართვას სომხეთს. ეს არ დაუშლის მას, თუ სიტუაცია შეიცვალა. კვლავ აგრესიული კილოთი დაელაპარაკოს სომხეთს და გაჩუქებული ადგილები კვლავ [illegible] დასტოვოს ისევე, როგორც დედა—სომხეთი. ეს გარემოება ალბად დაავიწყდა სომხეთს, როდესაც თავის ჯარებს ჰგზავნიდა საქართველოს წინაალმდეგ.

საქართველოს აქვს იმდენი ძალა, რომ სომხეთის ავანტიურას, თუ იგი განვითარდა, საზღვარი დაუდოს, მაგრამ ჩვენ მაინც სასურველად და საჭიროდ მიგვაჩნია სომხეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღოს პოლიტიკურ ჩხირ-კედელაობაზე და შეურიგდეს იმ აზრს, რომ რაც საქართველოს ეკუთვნის, იმას იგი არავის დაუთმობს უბრძოლველად.

# სამაჰმადიანო საქართველო

ჰეროდეტე ერთს თავის ნაწარმოებში გვიამბობს, რომ სკითებს ხშირად უხდებოდათ შორეულ ქვეყნებში ხანგრძლივი ომიანობა. მომხდარა ისე, რომ ამნაირი ხანგრძლივი ომიანობის დროს სკითების შინ დარჩენილ მონებს ბატონებისთვის ცოლები წაურთმევიათ და თითონ გაბატონებულან. როდესაც ბატონები სახლში დაბრუნებულან ყოფილი მონების შვილები იარაღით ვეღარ დაუმორჩილებიათ. მაშინ ბატონებს ხელი მოუკიდიათ მათრახისთვის და ამ იარაღს ყოფილი მონების შვილებზე მაგიური ზედგავლენა მოუხდენია.

ასეთი დიდი ძალა ჰქონია შინაურ ფსიქოლოგიას ალბათ ასეთისავე მონურ ფსიქოლოგიას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ყოველივე ახალი აზრი, ახალი ჰორიზონტი, რომელიც განთავისუფლებულ საქართველოს თავისთავად ეშლება წინ, ზოგიერთს წრეებში მხოლოდ სიცილსა და ღიმილს იწვევს. ასის წლის მონობაში აღზრდილ გონებას ეჩოთირება ფართო ნავარდი და თამამი პერსპექტივების წარმოდგენა.

საერთაშორისო მდგომარეობა კი დღეს ისეთია, რომ არ შეგვიძლიან ერთხელ შეჩვეულ ტრაფარეტულ, შაბლონურ აზროვნებას არ გადაუხვიოთ და გადასაწყვეტად არ დავსვათ ის ძირითადი საკითხები, რომელთა შესახებაც ჩვენს მამებს მხოლოდ ჩუმი ოცნება თუ შეეძლოთ.

ეხლანდელი ომის წყალობით ჰხდება ძირითადი გარდაქმნა ევროპის რუქისა. დადგა ის ისტორიული მომენტი კაცობრიობის განვითარებისა, როდესაც სახელმწიფოებრივი ერთეულები ახალ საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს; დადგა მომენტი, როდესაც ერთა თვითგამორკვევის საკითხი პრაქტიკულ საკითხად დადგა და დღეს თუ არა ხვალ ამა თუ იმ სახით ახალ სახელმწიფოებრივ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს, რაიცა თავის მხრით რაოდენადმე ძველი სახელმწიფოების სტრუქტურის შეცვლას გამოიწვევს.

ამ უდიდეს ისტორიულ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ თითქმის ნახევარი ნაწილი ჩვენი ქვეყნისა—სამაჰმადიანო საქართველო, რომელიც დღეს ოსმალეთის ხიშტების ზედ-გავლენით დედა—საქართველოს მოსწყდა და დღემდის ელის თავის გამანთავისუფლებელ მახვილს. როდესაც სამაჰმადიანო საქართველოზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მარტო აჭარა-ქობულეთი არა გვყავს მხედველობაში. ჩვენს წმინდა მოვალეობას შეადგენს დავსვათ საკითხი მთელი სამაჰმადიანო საქართველოსი და მათ შორის ლაზისტანის საკითხიც. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუტინაზე აღზრდილი გონება ერთბაშად ადვილად ვერ შეურიგდება ასეთს პრეტენზიებს. ბევრს ეს იქნება ერთგვარ იმპერიალიზმადაც მოეჩვენოს. მაგრამ, თუ ღრმად ჩაუკვირდებით საკითხს, თუ ნათლად წარმოვიდგენთ საერთაშორისო მდგომარეობას, თუ გავითვალისწინებთ, რანაირი მდგომარეობა შეიძლება დაიბადოს ოსმალეთის საკითხის გამო, არა გვგონია ვისმეს ეუცხოვოს ასეთი საკითხის წამოყენება. ჩვენ რასაკვირველია იარაღის ჯღარუნს არ მოვითხოვთ ჩვენის მთავრობისაგან, არც ის მიგვაჩნია საჭიროდ რაიმე ახალი მიზეზი შევქმნათ ომისთვის, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, თითქოს ჩვენ არავითარი ზომები არ მივიღეთ, რათა სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი უფრო აქტუალური გახდეს და სრულ დავიწყებას არ მიეცეს.

და თუ გვინდა სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი ერთხელაც არის ის გადაწყდეს, როგორც ამას თვით ქართველი მაჰმადიანებისა და ჩვენი საერთო სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, საჭიროა ეს საკითხი ჯერ ჩვენთვის გადავსწყვიტოთ, როგორც შინაური პრობლემა. ჩემს თავს ნებას მივცემ ამ შემთხვევაში კერძოდ ჩემი პირადი მოსაზრებანი გაუზიარო მკითხველებს.

ჩვენ სახელმწიფოებრივი სააღმშენებლო მუშაობის დროს, რა თქმა უნდა, პარტიკულიარიზმის გზას ვერ დავადგებით. ეს იქნებოდა დასაწყისი ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის დასასრულისა პროგრესიული დემოკრატიული პრინციპი, ინტერესები მშრომელი ხალხის კლასიური თვითშეგნებისა და ინტერესები კულტურული მთლიანობისა მოითხოვს ჩვენგან—სასტიკად ვებრძოლოთ პარტიკულიარიზმის ყოველნაირ გამოხატულებას.

მაგრამ სამაჰმადიანო საქართველოს მიმართ ჩვენი პოლიტიკა სულ სხვანაირი უნდა იყოს. ერთს წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამაჰმადიანო საქართველო განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდა და იმყოფება. მიუხედავად იმისა რომ სამაჰმადიანო საქართველოს კარგად მოზრდილი ნაწილი მშვენიერად ლაპარაკობს ქართულს და ისიც ისეთს ქართულს, რომ ყოველს გულწრფელ მამულიშვილს სიხარულის ცრემლს მოჰგვრის თვალებზე,—მიუხედავად ამისა ისინი სულიერად დაშორებული არიან ჩვენგან და თურქების საშინელ დამღუპველ ზედგავლენას განიცდიან. ჩვენი პირველი და უმთავრესი მოვალეობაა კვლავ აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი და შევქმნათ ისეთი პირობები მათი სახელმწიფოებრივი არსებობისა, როდესაც ურთიერთ შორის კვლავ ნდობის სიმები გაიბმება.

ეს ჩვენი შინაური პრობლემაა და სანამ ამ პრობლემას ჯეროვანად არ გადავსწყვიტავთ, ძალიან გაგვიჭირდება სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემის გადაწყვეტა, როგორც საერთაშორისო პრობლემისა. შინაური პრობლემის გადაწყვეტა კი მხოლოდ ის იქნება, რომ აღვიაროთ სამაჰმადიანო საქართველოს მთლიანობა და მისი დამოუკიდებლობა თავის შინაურ საქმეებში. **საქართველოსთან სახელმწიფოებრივად დაკავშირებულ მთლიან სამაჰმადიანო საქართველოს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება თავის შინაურ საქმეებში.**

თვით ჩვენ წინდაწინვე უნდა შევიმუშავოთ ერთგვარი სახელმძღვანელო აზრები შემდეგ გავავრცელოთ, პოპულიალურულ გავხადოთ ქართველ მაჰმადიანთა შორის. ჩემის წარმოდგენით, ეს სახელმძღვანელო აზრები შემდეგ დებულებებში უნდა გამოიხატოს: 1. აჭარა, ქობულეთი, ახალციხე, შავშეთი, ლაზისტანი შეადგენენ ერთს მთლიან ტერიტორიალურ ერთეულს—**სამაჰმადიანო საქართველოს.**

2. სამაჰმადიანო საქართველო სახელმწიფოებრივად დაკავშირებულია საქართველოსთან და ამიტომ მის ოფიციალურ სახელმწიფო ენად ითვლება ქართული ენა.

3. სამაჰმადიანო საქართველოს აქვს თავისი საკანონმდებლო ორგანო და ჰყავს მთავრობა, პასუხისმგებელი თავისი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

4. საქართველოს რესპუბლიკის **ძირითადი კანონები საქართველოს კონსტიტუცია** სავალდებულოა სამაჰმადიანო საქართველოსთვის.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარების დროს კიდევ ბევრი მუხლი და დებულება უნდა გამოირკვეს, მაგრამ ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს, როგორც ზევითაცა ვსთქვით, მხოლოდ ის საზოგადო სახელმძღვანელო აზრები, რომელთა გარშემოც უნდა შემოკრებაც ერთის მხრით საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრი და მეორეს მხრით კი სამაჰმადიანო საქართველოს ნაციონალური მოძრაობა.

შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს, რომ ჩვენში არსებობს სამაჰმადიანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი, საჭიროა ამ კომიტეტს ქართველმა საზოგადოებამ ცხოველმყოფელი ძალა მისცეს. მხოლოდ საზოგადოებრივი დახმარებით, საზოგადოებრივი აღფრთოვანებით შეიძლება სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის აღძვრა მთელის თავისი სიდიადით წამოყენება და საერთაშორისო საკითხად გადაქცევა.

ჩვენს გვერდითა სდგანან განათლებული, ინტელიგენტი მაჰმადიანი ქართველები, რომლებიც გულმხურვალედ ეკიდებიან თავიანთ თანამემამულეთა ეროვნულ გათვითცნობიერების საქმეს და შეგნებული ქართველი საზოგადოების ვალია მათ დაეხმარნენ მძიმე, მაგრამ კეთილშობილურ საქმეში.

დაე, მოწინავე ნაწილი ქართველი საზოგადოებისა, ფაქიზი იდეალების მატარებელი ახალგაზრდობა,—ყველა, ვისაც არ დაჰკარგვია იმედი დარღვეულ საქართველოს გაერთიანებისა და მთლიან საქართველოს აღდგენისა, მხოლოდ შეუდგეს მუშაობას და დაიხსნას საუკეთესო ნაწილი ჩვენი ქვეყნისა კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური მონობისა და გადაშენებისაგან.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

# ნარკვევი

რუსეთის ნიადაგზე დამყნილი ტფილისის კადეტების გაზეთი „რეჩი“, რა თქმა უნდა უკმაყოფილოა საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს მოქმედებით. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ბურჟუაზიული პარტიის ორგანო სტირის და ჰგოდებს აგრეთვე სკოლებში... რევოლიუციის მოსპობას. „რეჩს“ აკვირვებს განათლების სამინისტროს ენერგიი საზოგადოდ და აქებს: ერთად-ერთი „მოქმედების სამინისტროაო“, მაგრამ შემდეგ დასძენს:

> „არა ნაკლების ენერგიით შეუდგა სამინისტრო სკოლაში რევოლიუციის ლიკვიდაციას. არა კალმის ერთის მოსმით არამედ ერთის ბრძანებითი სიტყვით „მოისპოს“ მან ლიკვიდაცია მოახდინა. რევოლიუციის ისეთი მონაპოვარისა, როგორიც არის საარჩევნო სისტემა, „ნდობა-უნდობლობა“ და მოწიფეთა ორგანიზაციები“

ჩვენ ვიცით, რომ კადეტები საზოგადოდ საშინელი მტრები არიან რევოლიუციისა და უფრო მეტად კი წინააღმდეგნი არიან სკოლაში ისეთი წესების გამეფებისა, რომელიც ნამდვილად რევოლიუცია კი არ არის, არამედ არის „რევოლიუციის თამაშობა!“.

და თუ ამისდა მიუხედავად „რეჩი“ მაინც დასტირის ამნაირ რევოლიუციის

# საღვთო სჯულის სწავლების საკითხი

(დასასრული)

დღევანდელ რელიგიის საკითხს რომ მორიდებითა და სიფრთხილით ეპყრობიან სოციალისტური პარტიები სჩანს იქიდან, რომ 1902 წ. პოლონეთის ს. დ. პარტიის წევრთა $^2/_3$ მომხრე იყო სახელმწიფო შემწეობა დაენიშნათ სამრევლო სკოლებისათვის. პარტიის ასეთი გადაწყვეტილება ვანდერგეზის მოხსენებით თურმე ტაქტიური მოსაზრებით იყო გა[illegible], რომ მშობლებს არ ეფიქრ[illegible] [illegible] პარტიას წარმოადგენდეს, რომელსაც უნდოდეს სახელმწიფოს ძალით მშობლებს უფლება ჩამოართვას სკოლის არჩევისა მათი რელიგიოზური რწმენის მიხედვით.

ამ ჟამად სარწმუნოების საკითხი და სარწმუნოებრივი აღზრდა ყველგან განათლებულს ქვეყნებში დიდს მერყეობაშია. ამ გარდამავალ ხანაში მთელი კაცობრიობა დიდს სულიერ ტრაგიზმს განიცდის ერთ ნაპირს მოშორებულებს ვერ მიუღწევიათ მეორე ნაპირამდის და შუაში გარიყულან. რელიგიოზური აღზრდის ძველი შეხედულობის მომხრენი დღესაც მრავალია. ისინი რელიგიოზურ აღზრდას გარეგან ღვთის მსახურებაზე, კატეხისმოს, საეკლესიო წესებისა და სხვა და სხვა ცერემონიების შესწავლაზე ამყარებენ და ამით ჰფიქრობენ ბავშვებს რელიგიოზური რწმენა ჩაუნერგონ გულში. დღეს საფრანგეთის ზოგ ადგილებს გარდა, სადაც საღვთო სჯულის გაკვეთილების მაგიერ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მორალის, საზნეობრივო საგნის გაკვეთილებია შემოღებული, ყველგან რელიგიის საკითხი ცხარე კამათს იწვევს. ბევრს არც საფრანგეთის მორალის სწავლება მიაჩნიათ უნაკლულოდ. როგორც მშრალი სიტყვიერი დარიგება, ზნეობრივ საქციელს მოკლებული, მორალის გაკვეთილებიც ბევრს პედაგოგიურ სიმახინჯედ მიაჩნია. საერთოდ-კი ევროპაში საღვთო სჯული დღესაც ერთი სასწავლო საგანთაგანია სკოლებში და მას კვირაში 2—3 გაკვეთილიც აქვს დათმობილი. მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს დროში მთელი განათლებული საზოგადოება, რომელსაც ჭეშმარიტი სულიერი საზრდო ესაჭიროება და სარწმუნოების საკითხში ვერ ურიგდება გარეგნულ ცერემონიებს, მძიმე კონფლიქტს განიცდის. ცხოვრება გვიკარნახებს ამ ქვეყნიურ არსებობას, რელიგიოზური აზრი ცისკენ გვიწვევს, რასაც პირველი მოითხოვს, მეორე უარჰყოფს. ასეთი უთანხმოება ადამიანის სულს აქუცმაცებს, მასსას ვერ გაუბედნია აქეთ-იქით მიხედ-მოხედვა, ჰაერში რჩება და ილუპება. რელიგია არ მოითხოვს ამ ქვეყნიერების უარყოფას, მაგრამ მისი მქადაგებლები ამ საკითხს მტრულად ეპყრობიან გერმანელი მეცნიერი ბარტი სამართლიანად აღიარებს, რომ ქრისტიანობა ტრადიციულს ფორმებში სიცოცხლის უარყოფააო, როცა ანტიური მსოფლ-მხედველობა, პირიქით სიცოცხლის მტკიცებით აღსავსეაო. სპენსერი, ჩინებული წარმომადგენელი ევოლიუციის თეორიისა ამბობს: „ჭეშმარიტი სარწმუნოება და ნამდვილი მეცნიერება ერთმანეთში მოთავსდებიან, საიდეალო ადამიანის სულში ორივე იარსებებს, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სარწმუნოება და მეცნიერება ჰარმონიულ-მთლიანად შეერთდებიან და ერთი მეორეს აღავსებენო[*]. ბიუსონიც გვიმტკიცებს, რომ ბრძოლა რელიგიისა და თავისუფალ გონების შორის ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ნამყოდროის ეპიზოდი გახდება და მომავალში ჰარმონია, შეთანხმება გამეფდებაო.

დღევანდელი სოციალ პედაგოგებიც მოზრდილისა და ბავშვების ფსიქოლოგიას ერთმანეთში არჩევენ. ადამიანის პიროვნების ნორმალურ განვითარების მიხედვით აწინდელი სამეცნიერო პედაგოგიკაც ჰპოულობს ბავშვის ფსიქოლოგიაში რელიგიოზური აღზრდის დადებითს მხარეს. მაგრამ ამასთანავე მოითხოვენ ძირითადს ცვლილებასაც, რომ რელიგიისა და მეცნიერების შორის მოსპობილ იქმნეს ყოველგვარი ანტაგონიზმი, რომლითაც როგორც მეცნიერება, ისე სარწმუნოებაც ზარალობს. ცნობილი ფსიქოლოგი ლაი და ვუნდტიც ყველა იმ გრძნობებს და წარმოდგენილებას, რომელიც საიდეალო არსებობას გვისახავს და სრულიად შეეფერება ადამიანის სურვილებსა და მოთხოვნილებათ, რელიგიოზურს უწოდებენ, თვითონ ქრისტემ გვიჩვენაო, ამბობს ლაი რომ რელიგიოზობა დამოუკიდებელი ბავშვური გრძნობაა, მაშასადამე მას ემოციონალური ხასიათი აქვსო, ამიტომაო, განაგრძობს ლაი, ნატორპთან და შლეიბმახერთან ერთად შეგვიძლიან **რელიგიოზურ შემეცნების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას** რელიგიოზური გრძნობა უწოდოთო (გვ. 432). ლაის მოჰყავს ცნობილ სოციოლოგ შტეინის აზრიც, რომელიც „რელიგიას საზოგადოებრივ დიდებულ ფუნქციას“ ანიჭებს; ადამიანის სოციალური საქმეები უფრო ხშირად საზოგადოებისათვის თვალსაჩინო საკანტროლო საქციელს ეხება, რელიგია და მისგან გამომავალი საზნეობრივო ცნობანი უფრო საიდუმლო და უხილავ საქციელსა სდებენ მსჯავრს. მშვიდობიანი და კეთილ ნაყოფიერი შეერთებული ცხოვრება და განწყობილება ადამიანთა შორის უკეთესად მიმდინარეობს იქ, სადაც არსებობს დამსჯელი ძალა არა მარტო იშვიათის, უფრო ტლანქისა და ყველასათვის თვალსაჩინო საქციელისა, არამედ უფრო ხშირისა და დაფარულისა. რელიგიოზური გრძნობა, ლაის აზრით, აერთებს ადამიანს და ამ სახით ჩნდება რელიგიოზური საზოგადოება, რომელსაც თვისი „საზოგადო რელიგიოზური კანონები“ აქვსო.

ელენ კეი, რიოტგერი, მ. ჰიუო, ლ. ტოლსტოი, რენანი, ჰერბარტ სპენსერი, ბელინსკი, იმანუილ კანტი, ღრმად მორწმუნე ფილოსოფოსი, ალფონს ესკიროსი, პროფ. გურლიტტი და სხვანი მრავალნი გამოსთქვამენ სხვა და სხვა აზრს რელიგიოზური აღზრდის შესახებ, მაგრამ საერთოდ ისინი ჰგმობენ ეკლესიურს მოძღვრებას და სწავლების შეუწყნარებელს წესებს. დისტერვეგი და სტენლი ხოლო მოითხოვენ დოღმატიურ სწავლების უარყოფას და ისტორიულს გზაზე დადგომას, რადგანაც ისტორიული გზა რელიგიის სწავლებისა ადამიანის სულის განვითარებისა და განცდის სურათებს უკეთესად გვიშუქებსო.

ცნობილი პედაგოგი პესტალოცი რელიგიოზური აღზრდის მიზანს ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლაში ჰხედავს. პესტალოცის აზრით ჭეშმარიტი სარწმუნოება სიყვარულში, საქმიანობაში და მოვალეობის მტკიცედ შესრულებაში გამოიხატება. პესტალოცის პასტორი რელიგიოზურ მოძღვრებას ბავშვების მოქმედებას, მათს გარშემო მოწყობილობას, მათს მოვალეობას უკავშირებდა. როცა საუბარი ღვთის შესახებ იმართებოდა, ბავშვებს ეგონათ, რომ მათს მშობლებზე, ოჯახზე, მათს სამშობლოზე და ისეთის საგნების გამო ესაუბრებოდნენ, რომელიც ბავშვების გარშემო და მათ ახლო იყო. ამიტომაო, ამბობს პესტალოცი, „ლინგარდ და გერტრუდა“ ში ადამიანს რელიგიოზური სწავლება სწადიან არა სურათებისა და მშრალი სიტყვების საშუალებით, არამედ საქმით. ტყუილად უქადაგებთ ღარიბ-ღატაკს ღმერთი არსებობსო და ობოლს ჩააგონებთ მამა ზეცაში გყავსო. მხატვრული სახეებითა და სიტყვებით ერთი ადამიანი მეორეს ღმერთს ვერ გააცნობს. თუ ღარიბს ისეთს დახმარებას აღმოუჩენ, რომ მას ადამიანური ცხოვრება შეეძლება, მაშინ მას ღმერთსაც გააცნობ; თუ ობოლს ისე აღზრდი, რომ ობლობას ვერ შეამჩნევს, მაშინ ზეციერ მამასაც გააგებინებ, რომელმაც ობოლთა აღზრდის საჭიროება გულში აღგიძრაო.

ზემოთ ვსთქვი, რომ ევროპის სკოლებში, მიუხედავად საკითხის გამწვავებისა, საღვთო სჯულს სკოლებში ადგილი აქვს დათმობილი მეთქი. საინტერესო უნდა იყვეს როგორ ან რა მეთოდით ასწავლიან იქ ამ საგანს. მოვიყვანთ ინგლისის სკოლის ერთს მაგალითს: ე. პლოტნერის სიტყვით (Рус. шк. 1906 № 3) საღვთო სჯულის გაკვეთილები იწყება და თავდება ლოცვით. ასწავლიან ძველსა და ახალ აღთქმას. ბავშვები პატარები არიან და მათთვის რელიგიის მისტიური და მორალური მხარე გაუგებარია. ამ მხრით ბავშვებს აწვდიან

---

[*] იხ. „სახ. საქ.“ № 361.

დაკარგვის, ეს განსაკუთრებით იმას უნდა მიეწეროს, რომ მას ჰსურს პოლიტიკური სიმწიფე ქართველი საზოგადოებისა. მან ძალიან კარგად იცის, რაც დალუპავს საქართველოს სახელმწიფოებრიობას და სწორედ ამიტომაც დასტირის რევოლიუციას, თორემ სად კადეტები და სად რევოლიუცია?..

# უკანასკნელი ცნობები

### სანაინში

ჯავშნოსან მატარებელთა უფროსი ვ. გოგუაძე სანაინიდან იუწყება: სამხედრო მინისტრის განკარგულებით. სომხეთიდან არავის ვუშვებთ ჩვენ საზღვარზე, ვისაც კი საქართველოს მთავრობის ნებართვა არ მოეპოვება. საზღვრებიდან მომავალ მატარებელს სადგურ შაგალისთან ვაჩერებთ და მგზავრებს ვსინჯავთ. ვისაც ნებართვა არა აქვს, უკანვე ვაბრუნებთ.

### ფოილოში

ოქტომბრის 21-ს ღამით ადერბეიჯანის რესპუბლიკის სადგურს ფოილოში მესამე კლასის დარბაზში უცაბედი ცეცხლი გაჩნდა. ამ დარბაზში მოგროვილი იყო სხვა და სხვა ასაფეთქებელი და საწვავი მასალა; ბენზინი, ნავთი და სხვა—რაიც მგზავრებს ჩამოართვეს ჩხრეკის დროს. ცეცხლი მთელ სადგურს სასწრაფოდ მოედო და სრულიად გადაიწვა. გადაარჩინეს მხოლოდ დახლი და შემოსავლი.

# საქართველოს პარლამენტი

### ოქტომბრის 23-ის სხდომა.

**სხდომა** იწყება 1 ს. 50 წუთზე თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი. მდივანი კითხულობს დღის წეს-რიგს.

**თავმჯდომარე.** ეკითხება თუ ვის სურს შეიტანოს შესწორება დღიურ წესრიგისა.

**ალ. ლომთათიძე** პირველი ვინაიდან დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონ-პროექტი დიდად მნიშვნელოვანი და ამასთან დიდიც არის, მისი განხილვა გადაიდოს პარასკევის „სხდომისათვის და პარასკევის სხდომა სრულიად მას მოვანდომოთ. მეორე: ვინაიდან კომისიამ ვერ მოასწრო შავი ზღვის ნაპირის რკინის გზის დამთავრების პროექტის დამთავრება, კომისიის სახელით თხოულობს ამ საკითხის გადადებასაც.

**ფინანსთა მინისტრი ჟურული.** რა კი მეხუთე და მერვე პუნქტები წესრიგისა, ეკუთვნის ფინანსთა სამინისტროს და ამ უკანასკნელისათვის კი უფრო საჩქარო მერვე პუნქტში მოთავსებული საკითხის გარჩევა, ვიდრე მეხუთეში თხოულობს მე-8 პუნქტი მეხუთეთ ხოლო მეხუთე მერვედ დაისვას პარლამენტის სხდომის წეს-რიგში.

**ვეშაპელი** (ნ. დ.) შემოაქვს წინადადება, რომ კომისიამ, რომელსაც საჩხერეში დაზარალებულთა დახმარების საქმე მიანდეს, საკითხი 3 დღეში გამოარკვიოს.

**ი. გობეჩია** (ს.-რ,) შემოაქვს წინადადება თუ კი შავი ზღვის რკინის გზის დამთავრების საკითხი გადაიდება, მორიგ სხდომაზე პირველად იყოს გარჩეულიო.

**თავმჯდომარე.** წინადადებებს კენჭს უყრის. მიღებულია ფინანსთა მინისტრის ლომთათიძის წინადადება. მიღებულია წინადადება არსენიძესი, რომ (არა 3 დღე, როგორც ვეშაპელი თხოულობდა არამედ) ერთი კვირა მიეცეს ვადა, საჩხერეში დაზარალებულთა საკითხის და დახმარების გამოსარკვევად.

დანარჩენი წესრიგი დამტკიცებულია.

**ალ. ახმეტელი.** თხოულობს მისი შეკითხვა თუ დღეს, არა, მორიგ სხდომაზე მაინც იყოს გარჩეული.

**ალ. ლომთათიძე** წინააღმდეგია, რადგან პარასკევს სხდომა დამფუძნებელი კრების არჩევნების საკითხს უნდა მოვანდომოთ პარლამენტის დადგენილებითო და შემოაქვს წინადადება ალ. ახმეტელის შეკითხვა თავის ჩვეულებრივის რიგზე გაირჩესო. წინადადება მიღებულია.

**თავმჯდომარე.** სიტყვა ეკუთვნის ბ-ნ შ. ამირეჯიბს.

**შ. ამირეჯიბი** კითხულობს საბოლოო ტექსტს სამკითხველოების და წიგნთსაცავების დაარსებისა და შავი ქვის გადასახადის კანონებისა.

### მოხსენება მოკლე ვადიანი სესხის შესახებ.

**მომხსენებელი ი. ლორთქიფანიძე** თხოულობს ამ საკითხის დღიურ წესრიგიდან მოხსნას, ვინაიდან კომისიას ახალი ეკონომიური პრესპექტივები დაებადა და შესაფერად ამ საკითხის შეცვლაც ვერ მოასწრო.

**გ. ჟურული** (ფინანსთა მინისტრი) მთავრობა სცნობს საჭიროებას მოკლე ვადიანი სესხისა და თუ კომისია თხოულობს ამ საკითხის გადადებას ჩვენ თანაუგრძნობთ, მაგრამ საჩქაროდ კი უნდა იყოს მიღებული.

კანონ-პროექტი ფინანსთა სამინისტროს გამგეობის ცენტრალური შტატები.

მომხსენებელი ი. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ეს შტატები და ეს აპარატი ახლად იქმნა შესაქმნელი, ვინაიდან აქ არ არსებობდა წინად არავითარი ამ დაგვარი დაწესებულება, რომლის გადაკეთება შესაძლებელი ყოფილიყო, რომ ფინანსთა სამინისტრო მიგვეღო, ამასთან ერთად ეგ შტატები, როგორც სხვა უწყება შტატებიც ცოტათი დიდ მასშტაბით არის აღებული, ვინაიდან ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი გართულებული ცხოვრება.

შემდეგ კითხულობს კანონს-პროექტს.

**ალ. ახათიანი** ამბობს, რომ სახელმწიფოს სიმაგრე დამოკიდებულია ფინანსიური პოლიტიკის სიმტკიცეზე და ამიტომ ამ დარგს სახელმწიფოს ცხოვრებისას განსაკუთრებული ყურადღება და შრომა-ენერგია ესაჭიროება. ხოლო ეს შრომა-ენერგია ბევრად ვერ გამოიჩინა ჩვენმა ფინანსთა სამინისტრომ. მან ვერ შეადგინა ჯეროვნად სახელმწიფო ბიუჯეტი, არ არსებობს სისტემა ჩვენი ხარჯების გატარებაშიო, ყოველი სამინისტრო, თავის სურვილით და ნებით ადგენს თავის ხარჯებს დაამტკიცებინებს პარლამენტს, ისე რომ ფინანსთა სამინისტრო არც კი ღებულობს მონაწილეობას. ჩვენი სახელმწიფო გამგეობის აპარატი მეტად დიდი აპარატია და ამას ვერ აიტანს ჩვენი სახელმწიფო და ამას ფინანსთა მინისტრი ყურადაც არ იღებს. ჩვენ ვიცით, რომ ქვეყანა ვერ იარსებებს მხოლოდ და მხოლოდ ფულის ბეჭდით. საჭიროა ნამდვილი შემოსავლის წყარო და ასეთი შემოსავალი კი ხალხის დაბეგვრით უნდა აღმოვაჩინოთო. ფინანსთა სამინისტრომ ვერ გამოიჩინა მეტი უნარი და ენერგია, ვიდრე ეხლა, რომ საკითხიც მოეგვარებინაო. რაც შეეხება მრეწველობის საკითხს იქაც მიუხედავად დიდი მუშაობისა მაინც ვერ გაკეთდა ის, რაც შესაძლებელი იყო და ჩვენ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ არამც თუ გააფართოვა ეს მხარე ჩვენი ცხოვრებისა, არამედ, შეამცირა და შეამოკლა ამ დარგში თავის მუშაობის ფარგლებით. ამ უწყებამ ვერ მოუარა ტყვიბულის ქვანახშირს და ის გადავიდა სხვა უწყებაში. ამასთან ერთად სამინისტრომ ვერ მოაგვარა მუშათა საკითხი, იმ რიგად, რომ ჩვენი მრეწველობის აყვავება შეიძლებოდეს. ვერ შეჰქმნა პროფესიონალური სკოლები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრებისათვისო და სხვ. ყოველივე ამას იმიტომ უსაყვედურებთ ფინანსთა სამინისტროს, რომ ჩვენ მისგან უფრო მეტს მოველოდით ვიდრე მან მოგვცაო.

**თავმჯდომარე.** სამი საათი შესრულდა კრება განვაგრძოთ თუ გადაიდოს?

ხმის უმეტესობით კრება გრძელდება.

**გ. ჟურული** (ფინანსთა მინისტრი). უპასუხებს ასათიანს და ეთანხმება რა რომ ფინანსიური ძლიერება ხალხისა, არის სახელმწიფოებრივი ძლიერება ამბობს: საიდან შეიძლებოდა საკუთარი ბიუჯეტის შექმნა, როცა ჯერ საკუთარი ფული არ გვაქვს, ამის მიზეზი კი თქვენც იცით და არც პარლამენტის სურვილის გარეშე ყოფილა, ის რომ დღეს ჩვენ სხვისი ფულების ნიშნები და სისტემა გვაქვს. დიდი საქმეა და დიდი ცოდნა შესწავლა უნდა ხარჯთაღრიცხვის შედგენასო; სპეციალისტი ამ საქმისა ჩვენ არა გვყავდა, დღეს კი ასეთი მუშაობა სწარმოებს და ჯერ თუ არ არის დამთავრებული ამის მიზეზი ის არის რომ 3—4 თვის განმავლობაში ასეთი დიდი საკითხის შესწავლა და გადაჭრა მოუხერხებელია, არც დაბეგვრის საკითხია ადვილი. ამ დარგში ჩვენ ბევრს ვმუშაობთ და 10-დე კანონპროექტი უკვე შევიმუშავეთ. ამასთან ერთად საბაჟო დაწესებულების საქმეც თან და თან დიდის მუშაობის შემდეგ ეწყობა, ვინაიდან პირველ კვირაში ჩვენი დამოუკიდებლობისა თუ არც ერთი კაპეიკი არ შემოვიდა ეხლა 2 მილიონი შემოდის ხოლო საქმე ის არის, მარტო ჩემი მოხელენი ვერას გააწყობენ, თუ ჩვენი სახელმწიფო არ შემოვფარგლეთ, თუ ღობე არ გავიჩინეთ. ასეთი ღობე კი დარაჯები უნდა იყვნენ. ეს დარაჯები კი მხოლოდ დღეს ეწყობა და არც ამის ადრე მოწყობა შეადგენდა ჩემს უფლებას.

რაიც შეეხება სამრეწველო საქმეებს იქ მაინც მეგონა, რომ საქმე კარგად იყო ვინაიდან ისეთი მცოდნე უდგას სათავეში როგორიც არის ჩემი ამხანაგი ნიკოლაძე, მაგრამ იქაც გადაწვდა ალ. ასათიანი და სთქვა, რომ ვერ გახსენით ქარხნები, ვერ ააყვავეთ მრეწველობაო. ჩვენ ასეთს დიდს საქმეს ვერ გავაკეთებდით ხოლო ცოტაზე კი ბევრი ვიმუშავეთ, მაგრამ საქმე მაინც ბევრგან ვერ მოვაგვარეთ. მოუწოდეთ მრეწველთ გახსნა სხვა და სხვა საქსოვი და სხვა ქარხნებისა, მაგრამ გვთხოვენ 4—5 მილიონ მან. სუბსიდიას და ჩვენ ამას ვერ შევსძლებთ თუ ცოდვებზე ვილაპარაკებთ მე უფრო ბევრს ცოდვას დავასახელებ ვიდრე ბ-ნმა ასათიანმა დაასახელა. მაგრამ საქმე ის არის, შეიძლებოდა თუ არა ამ ცოდვების გამოსწორება სხვის ცოდვებსაც მე მაბრალებს ბ ნი ასათიანი რატომ საპროფესიო სკოლები არ გახსენიო. თქვენ ბ-ნო ასათიანო, როგორც პარლამენტის წევრმა უნდა იცოდეთ რომ ეს არის არა ფინანსთა მინისტრის საქმე არამედ განათლებისა. მეუბნება რატომ ის საქმე შენ არ მოაგვარე და სხვას მიეცი მოსაგვარებლადო ე. ი. რად არ დაეტაკე შენს ამხანაგს სხვა, მინისტრებს და არ წაართვი ეს თუ ის საქმეო, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ სოლიდარული სამინისტრო და ჩვენ საქმე გვაინტერესებს, ვინც უნდა არ გააკეთოს ის და არა პიროვნება: მაგრამ ერთს საბუთს აქვს ფასი: ტყვიბულის ქვანახშირის მაღაროებს.

ეს ჯერ იყო მიწათ მოქმედების სამინისტროში. რაც რკინის გზას აწვდიდა ქვანახშირს, ის წუნობდა ქვანახშირის საკითხს.

ამ დროს მუშების საკითხიც გამწვავდა, გადაწყდა ჩვენთვის გადმოეცათ მაგრამ ჩვენ ვსთქვით. სჯობს იმ უწყების ხელში გადავიდეს, რომელი უწყებაც მისგან ქვანახშირს იღებს, და რომელსაც ჰყავს ინჟინრები და ძალები რომელიც მოუვლიან, და ამით გადასცეს რკინის გზის მინისტრს. მე აქ უწყების პატრიოტიზმი არ გამოვიჩინე და დაუთმე ჩემს ამხანაგს ვ. ლორთქიფანიძეს.

**ალ. ახათიანი.** მე საყვედურად არ მითქვამს ფინანსთა მინისტრისათვის ის ფაქტები, რომელიც აქ მოვიყვანე, მაგრამ ყურადსაღებად კი მე არ ვამბობდი მრეწველობა რატომ არ აყვავდა მეთქი, მე ვამბობდი არ გაკეთდა ის, რაც შესაძლოა მეთქი. ნახშირს წუნობენ და ამიტომ სხვა უწყებას გადავაციო ვსთქვათ სხვა რამეც დაიწუნეს ჩვენი, ეს არ იქნება საბაბი გადაცემისა.

კანონპროექტი მიიღეს. სხდომა გათავდა ნაშუადღევის 4 საათზე.

# ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

**გერმანიის ტრანსოკეანეს პრესა.** 21 ოქტ. მეუზის ოლქის ბრძოლაში მონაწილეობის მიმღები სწერს: „25 სექტემბრიდან, როცა ფრანგებმა და ამერიკელებმა იერიში დაიწყეს ზარბაზნების ყუმბარები შორე მანძილიდან გერმანელების ფრონტს სცილდებოდა და ანადგურებდა მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელნიც სცილდებოდა და ანადგურებდა მშვიდობიან მცხოვრებლებს, რომელნიც წარსულში გერმანელებმა დაზოგეს. 1914 წ. ომმა ისე გაიარა ამ ადგილებში, რომ თავისი კვალი არ დაუტოვებია. მოკავშირეების თითოეულ ნაბიჯის გადადგმაზე კი განადგურებული ადგილები თანდათან ფართოვდება. რა აზრი ექნებოდა მას, რომ გერმანელებს საკუთარი თავშესაფარი გაენადგურებიათ. პირიქით, გერმანელები ყოველთვის ცდილობენ დაიცვან განადგურებისაგან ადგილები და მცხოვრებნი, რომელნიც როცა თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან, ალბად გაიკვირვებენ, რომ მათი კერა უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წარსულში. როცა გერმანელები, იძულებული იყვნენ დაეცალათ სოფლები რათ უნდა გაენადგურებია მათ მოკავშირეების ცეცხლისაგან ისედაც განადგურებას ხელს უწყობდა ჰაეროპლანები.

25 სექტემბერს, როცა მტერმა დასწვა გერმანიის დიდი ლაზარეთი [illegible], იმავე დროს ახლო [illegible], ყუმბარებისაგან განადგურდა და დაიწვა და როდესაც რამოდენიმე დღის განმავლობაში ფრანგების 150 ჰაეროპლანი იერიშებს აწარმოებდნენ აუოხრებელ ადგილებში, დანაშაული მიაწერეს გერმანიის სიმხეცეს“. გენერალი მორისი გაზ. „დეილი-ნიუსში“, განაგრძობს გერმანელთა სიმკაცრეზე წერას შესახებაც მოკავშირენი დღეს პროპაგანდას ეწევიან მთელ ქვეყანაზე. როდესაც გენერალი მორისი სწერს, რომ უკანასკნელი სამი ზამთარი გერმანიისთვის საშინელებას წარმოადგენდაო, ის მართალია. სიმშილის ბლოკადა რომელსაც მოკავშირეები აწარმოებდნენ გერმანიის ხალხის მიმართ მართლაც აუტანელი იყო, მაგრამ გერმანიის ხალხმა ეს გადაიტანა უდრტვინველად და კეთილშობილურად. გაზ. „დეილი-ნიუზი“ სწერს, რომ გერმანიის ჯარი, წარსულ ბრძოლაში იყო მედგარი და ეხლაც არ შეიძლება ის დამარცხებულად ჩაითვალოს. მათ იმედი აქვთ, რომ მოკავშირეების სამხედრო ძალა სხვა დაბრკოლებებთან ერთად გაარღვევს გერმანიის ფრონტს.

# ახალი ამბავი

◆ **დღეს, საღამოს 8 ს. „სახ. საქმის“ რედაქციაში დანიშნულია სარედაქციო კოლეგიის კრება. თანამშრომლებს ვთხოვთ უეჭველად დაესწრონ.**

◆ **ქ. ფოცხვერაშვილის ქართულ-გერმანული კონცერტი სახელმწ ფო თეატრში** კვირას, ოქტომბრის 27 დღის 12 საათზე საქართველოს ჯარის სამუსიკო საქმეთა გამგის და მთავარ ლოტბარის ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად ტფილისში ქართულ-გერმანული სამხედრო სანიმუშო კონცერტი. დამკვრელთა დასების ცალ-ცალკე გამოსვლის შემდეგ, ქართულ-გერმანელთა მრავალრიცხოვანი ორკესტრი (100 კაცი) ქ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით შეასრულებს ქართული სამხედრო მუსიკის სანიმუშო პიესებს, შესრულებული იქნება სხვათა შორის ქ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებული ძველი ქართული ჰიმნები, იამბიკოები მუნასიპები, ქებადები, სავრი და სხვ პროგრამაში შედის აგრეთვე ახლად გაორკესტრებით: ქართული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, თავისუფლების მარში, არმაზის ჰიმნი „კერპთა დამხობის“ ოპერიდან და სხვანი. დასასრულ დაიდგმება საუცხოო აპოთეოზი: ცხოველი სურათით აღმართება თავისუფალ საქართველოს ძეგლის პროექტი.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოებ-ს გამგეობის** კრება დანიშნულია დღეს საღამოს 7 ს. „სახ საქმის“ რედაქციაში.

◆ **ტფილისის კომიტეტის** სასარგებლოდ ძმურ ნუგეშში საღამოს მომწყობ ქალებს ვსთხოვთ უეჭველად დაესწრენ დღეს საღამოს 6 საათზე კრებაზე ბიუროში.

◆ **ამხ. ნ. აბესაძე.** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მან წინასწარ განუცხადა სტუდენტთა კრების თავმჯდომარეს უარი ბიუროს წევრობაზე, ამიტომ ის არ შეიძლება ყოფილიყო არჩეული არც წევრად და არც კანდიდატად!

◆ **კაჩუხოვი** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი კაჩუხოვი ორი თვით განთავისუფლდა. როგორც გადმოგვცემენ, კაჩუხოვი სამუდამოდ სტოვებს თავის პოსტს.

◆ **სამხედრო უწყების შტატები.** მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი სამხედრო უწყების შტატების შესახებ. ამ კანონის ძიხედვით ჯამაგირები ასეა განაწილებული. დივიზიის უფროსს თვიურად 1450 მან. ბრიგადის უფროსს—1300 მ. პოლკის კომანდირს—1,150 მ. მის მოადგილეს 9000 მ. ბატალიონის კომანდირს—725 მ. უფროს ოფიცერს 575 მან. უმცროსს—500 მ.ნ. და ჯარის კაცებს 20 მ.

◆ **ბინების რეკვიზიციის შეწყვეტა.** საბინო კომიტეტის წინადადების თანახმად ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გააუქმოს ბინების რეკვიზიციის მოხდენა განსაკუთრებით იმ პირთათვის, ვისაც რაიმე თავშესაფარი მოეპოვებათ.

◆ **მამის მკვლელი.** ქუთაისის სისხლის სამართლის მილიციამ დაატუსაღა ერმილე ჩიბურდანიძე, რომელმაც თავის მამა დაახრჩო და მღვდლის შემწეობით დაასაფლავა.

◆ **ვერულაშვილის გარდაცვალება** ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ჩვენი ამხანაგი ალიკო ვერულაშვილი განსვენებულმა სულ უკანასკნელ ხანებში დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ფაკულტეტი. დაკრძალვა მოხდება ქუთაისში დღეს.

◆ **მინისტრის ჩამოხვლა.** თელავისა და სიღნაღის მაზრიდან უკვე დაბრუნდა

---

მხოლოდ ისეთს საზნეობრივო იდეალს, რომელსაც იგი ადვილად მიხვდება და თავის ცხოვრებაში მიჰყვება. მაგ. ბავშვებს უამბობენ მოსე წინასწარმეტყველისა და ქრისტეს ცხოვრების ამბებს. ამ მოთხრობებში მათ თვალწინ უდგებათ სიკეთისა და ღვთისმოყვარეობის იდეალი.

ამით სრულდება გაკვეთილის საზნეობრივო მხარე, მაგრამ იმავე გაკვეთილზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი გაუგებარ სიტყვებისა და ახალ ცნებათა ახსნა-განმარტებასაც. ჩემს დროსაო, განაგრძობს ბ-ნი პლოტნერი მასწავლებელი მოუთხრობდა ბავშვებს ქრისტეს შობის ამბავს. მან დაჰხატა დაფაზე ბაგა, აუხსნა მისი მოწყობილობა და დანიშნულება. საზოგადოთ ყველა გაკვეთილს სიცოცხლის ნიშანწყალი ჰქონდა და პრაქტიკული ხასიათის მნიშვნელობაც ეტყობოდაო. მასწავლებელი უხსნიდა მოწაფეებს ყოველ საგანს და ახალ სიტყვებს, რომ შეეგნოთ მისი ცხოვრებაში პრაქტიკული მნიშვნელობა.

უეჭველია, რომ საღვთო სჯულში, რასაც დღემდის ასწავლიდნენ სკოლებში, აუარებელი გამოუსადეგარი და პედაგოგიურის თვალსაზრისითაც შეუწყნარებელი მასალაა. ზნეობრივი მსოფლმხედველობაც რომ ავიღოთ, რაც უნდა ლამაზი და ჭეშმარიტი იყვეს, მაინც არ შეიძლება სასკოლო პროგრამაში მოექცეს. ზნეობა თავისთავად არ არის თეორიულ კანონებისა და ცოდნათა კრებული; იგი ამა თუ იმ საქციელთან, ყოფაქცევასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული და ცალკე აღებული, როგორც სასკოლო საგანი, აზრს მოკლებულია. ამიტომაც ილაშქრებენ საღვთო სჯულის სკოლებში სწავლების წინააღმდეგ და თუ დღევანდელს ცხოვრებაში სრულს გამარჯვებას ვერსად ვერ ვხედავთ, მომავალი, როცა ცხოვრების პირობები და ცხოვრებაზე შეხედულობა სხვა სახეს მიიღებს, ვიდრე დღეს არის, დაგვანახვებს, რომ საღვთო სჯული სკოლაში მეტი ბარგია. მაგრამ მისი სწავლების სრულიად აკრძალვას ჯერ-ჯერობით უნდა ვერიდებოდეთ როცა საკითხს კატეგორიულად სჭრიან—საღვთო სჯული არ უნდა ისწავლებოდესო, ეს ნიშნავს ერთი კალმის მოსმით იმის მოსპობას, რაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ტრადიციულად შექმნილა. მართალს ამბობს პატივცემული პროფესორი ივ. ჯავახიშვილი: „სარწმუნოებრივ და ზნეობრივ შეხედულობის შეცვლა და გასწორება, რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში თვისი მდიდარი მწერლობა, განვითარებული დოღმატიური და საეკლესიო წესწყობილება აქვს შექმნილი ძალიან ძნელი და რთული საქმეაო“ (იხ. „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ „ივერია“ 1906 წ.). შეცვლა და გასწორება“ შეიძლება რთულიც იყვეს, მაგრამ მაინც საჭიროა შეცვლაც და შესწორებაც, რადგან ცხოვრება წინ მიდის და ყველაფერი ცვალებადობას განიცდის. სწავლა-აღზრდის საქმეში არავითარი ზღაპრული, ან გაგონილ თუ არა მეცნიერული არა უნდა იყოს რა. და თუ როგორც ევოლიუციის მქადაგებელთა სიტყვა არ გამართლდა მეცნიერებისა და საღვთო სჯულის სწავლების შეთანხმების შესახებ, უმჯობესი იქნება საღვთო სჯული სკოლებში სრულიად მოისპოს, რადგანაც მისი სწავლება, როგორც დღემდის ისწავლებოდა პირდაპირი დანაშაულობაა; მაგრამ ერთბაშად მოსპობას ამ ჟამად ვერ ვიზიარებთ, თუ არა თანდათანობით და თუ ანგარიშსაც არ გაუწევთ მცხოვრებთა შეხედულობასა და აზრსაც, რაც ყოველთვის ყურადსაღებია სასკოლო საკითხში, უამისოდ სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ რასაკვირველია, ინტელიგენციის ვალია, ებრძოლოს საუკუნოებით დამყარებულს შეცდომას. რომელსაც ანგარიშით მოსილნი „ხალხის სიბრძნეთაც“ აღიარებენ, მაგრამ ამასაც თანდათანობით მომზადება სჭირიან.

დღეს დღეობით საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში მიღებული უნდა იქმნეს არა **სავალდებულოდ**. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ უსათუოდ უნდა ისწავლებოდეს, ან აკრძალული იქნეს, იქ, სადაც სასკოლო კომიტეტი და მშობლები საჭიროდ დაინახავენ საღვთო სჯულის სწავლებას, უნდა ასწავლიდნენ მსურველებს; საღვთო სჯულის გაკვეთილიც უკანასკნელი უნდა იყოს, რომ შეღავათი მიეცეს იმ ბავშვებს, ვინც რომ ამ გაკვეთილზე არ ივლიან. მაგრამ შეუძლებელია ისიც, რომ საღვთო სჯულს ასწავლიდეს მღვდელი, რომელსაც არ შეეძლება ისე სწავლება, თუ ტენდენციოზური რამე შიგ არ გაურიაო. მაგრამ ყველაზე უფრო საჭირო და მასთან აუცილებელი არის, რომ მრავალი მასალა, პედაგოგიურისა და მეცნიერულის თვალსაზრისით შეუწყნარებელი, დღესვე განდევნილი უნდა იქმნეს იმ სკოლების პროგრამიდან, სადაც კი საღვთო სჯულის სწავლება იქნება შემოღებული.

ლ. ბოცვაძე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

◆ **იოს. ივანიძის გამოსვენება.** დღეს, ოქტომბრის 25-ს, არამიანცის საავადმყოფოდან გამოასვენებენ მსახიობ სოსო ივანიძის გვამს წმ. მარინეს ეკლესიაში, საიდანაც დასაკრძალა-წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე განსვენებული გარდაიცვალა ეგრედწოდებულ ესპანიურ ავადმყოფობით.

◆ **სწავლის დაწყება** დღეს, ოქტომბრის 25-ს ტფილისის ქალთა საეპარქიო გიმნაზიასთან არსებულ საანბანო განყოფილებაში, სწავლა დაიწყო.

◆ **კავშირის დაარსება.** ამა წლის ოქტომბრის 13-ს შესდგა სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელი ექსპედიციის მოსამსახურეთა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გადასწყდა მოსამსახურეთა კავშირის დაარსება. იმავე კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობა, რომელშიაც შედიან: შალვა ხავთასი—თავმჯდომარე, ილია მაჩაბელი—მისი ამხანაგი, ირაკლი ფერაძე—მდივანი, კ. ანჩალეიშვილი—სასურსათო საქმის მომწესრიგებელი, დემურიშვილი—მოლარე და გეგელაშვილის ასული—კანდიდატი. ვინაიდან კავშირის უპირველეს მიზანს შეადგენს ექსპედიციის გაეროვნება ამიტომ არჩეულ იქმნა გამაეროვნებელი კომისია, რომელშიაც შედიან: აკაკი თათარიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი და მასთან ფულარია. ეს კომისია გამგეობასთან შეთანხმებით და კოოპტაციის ძალით ქართული ენის მცოდნე პირთა ოწვევით დაეხმარება მთავრობას ექსპედიციის გაეროვნების საქმეში... ამხ. აკაკი სირაძე არჩეულ იქმნა წარმომადგენლად სრულიად საქართველოს მოსამსახურეთა კავშირის საბჭოში.

◆ **მოხელეთა კრება.** კვირას, ოქტომბრის 27-ს დილის 11 საათზე ახალკლუბის შენობაში დანიშნულია ტფილისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში მოსამსახურეთა საზოგადო კრება, მოხელეთა საბჭო დაბეჯითებით სთხოვს ყველა მოხელეებს უსათუოდ დაესწრონ აღნიშნულ კრებას. გასარჩევ-გადასაწყვეტია შემდეგი საკითხები: 1) კავშირის გაძლიერება დამტკიცება, 2) კოოპერატივის დაარსება, 3) სურსათის შეძენა და 4) ჯამაგირების მომატების საკითხი.

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში ვ. ნიკოშვილის „პატარა წერილებს" შეცდომით სათაურად აწერია: „დამარცხებულნი", უნდა იყოს: „დამახინჯებულნი".

„ნარკვევში" ყველგან მასხარას მაგივრად უნდა იყოს მასხრობა.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ამხანაგებს გიორგი ჯანდიერს და პლატონ ყიფიანს ვსთხოვთ დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ტფილისში.

—

კრება ნაძალადევში. პარასკევს. ოქტომბრის 25-ს საღამოს 7 ნახევარ საათზე ნაძალადევის ეკლესიის სამრევლო სკოლაში დანიშნულია ამ რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა კრება. ამხ. ვახ. კოტეტიშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მომავალი საზავო კონფერენცია და საქართველოს საკითხი". კრებაზე პარტიის არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

## კონფლიქტი საქართველოსა და სომხეთს შორის

(მთავრობის ცნობა)

ოქტომბრის 13-ს მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ სომხეთა რეგულიარულმა ჯარმა დაიჭირა ქობერისა და სასაზღვრო ხიდის მიდამოები სანაინის გასწვრივ. მიუხედავად იქ მყოფ გერმანელთა ნაწილის მოთხოვნილებისა, რომ საქართველოს საზღვრები გაენთავისუფლებინათ ისინი განაგრძობდნენ ამ საზღვრების გადმოლახვას და აგრეთვე იკავებდნენ ოსმალთაგან დატოვებულ ადგილებს. ამის გამო საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრმა ნოტა წარუდგინა სომხეთა წარმომადგენელს ჯამალიანს, უკანასკნელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მუდამ მზადაა სომხეთა და ქართველთა სადავო საკითხები მშვიდობიანის გზით გადაიჭრას. მაგრამ, ვინაიდან ჯერ ასეთი შეთანხმება არ მომხდარა, მომხდარ აქტს საქართველოს მთავრობა ისე შეჰხედავს, როგორც უკიდურეს მტრულ განწყობილებას.

ამის საპასუხოდ ჯამალიანმა იმავე დღეს გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს პირადად შეხვედრის დროს განუცხადა რომ ბორჩალოს მაზრის სადავო ადგილების დაჭერა გამოწვეულია ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებითაო.

ამავე დროს სამხედრო მინისტრმა, მთავრობის დადგენილების თანახმად, მიიღო სათანადო ზომები საქართველოს საზღვრების დასაცავად და სანაინისაკენ გაიგზავნა საჭირო ძალები და ჯავშნოსანი მატარებლები.

ოქტომბრის 20 ჯავშნოსანთა უფროსმა მთავრობას აცნობა, რომ მდ. დებედა ჩაის ხიდი ს. ქობერის და კალაგერანის ხიდი ჩვენი მხრისაკენ დაჭერილი იყო სომხეთა ნაწილებისაგან.

ამის შემდეგ ჯავშნოსანთა უფროსმა ულტიმატუმი წარუდგინა სომხის ნაწილებს ჩვენი ტერიტორიის გაწმენდის შესახებ, რაც მათ სისრულეში მოიყვანეს. ოქტომბრის 21-ს ჯამალიანმა გარეშე საქმეთა მინისტრს აცნობა, რომ მან თავის მთავრობას გაუგზავნა საქართველოს ნოტა. ამასთანავე მან იმედი გამოსთქვა, ორივე რესპუბლიკის მთავრობების მისწრაფება მეგობრულ დამოკიდებულების განმტკიცებისათვის მიმართული, დაუყოვნებლივ დაამყარებს ძმურ შეთანხმებას.

ოქტომბრის 23-ს სომხეთა მთავრობის თავმჯდომარე კაჩაზნუნისაგან მიღებულ იქმნა დეპეშა, სადაც იუწყებოდა, რომ ქართველმა ჯარის უფროსებმა მათ ნოტა წარუდგინეს სადგ. შაგალის დაცლის შესახებ და, რომ სომხის ჯარს ნაბრძანები აქვს, არ დასცალოს აღნიშნული სადგური. კაჩაზნუნი ითხოვდა, რომ ჩვენი ჯარი შეჩერებული ყოფილიყო თავის ადგილზე, ხოლო საზღვრების საკითხი მშვიდობიანის გზით გადაჭრილიყო. ამის საპასუხოდ მთავრობის თავჯდომარის მაგიერ სამხედრო მინისტრმა იმავე დღეს შეატყობინა კაჩაზნუნს, რომ საქართველოს მთავრობა თანახმაა მშვიდობიანის შეთანხმებით გადაიჭრას ეს საკითხი, ხოლო საზღვრებზე მდგომთ ნაბრძანები აქვთ საზღვრების საკითხის გადაწყვეტამდე თავის ადგილზე იდგნენ და არ დაიწყონ სამხედრო მოქმედება. მიუხედავად ამისა, იმავე დღეს, საღამოთი საქართველოს მთავრობამ მიიღო ახალი ცნობა, რომ სომხის ჯარმა ქარინჯის დაცლა მოითხოვა და ამის შემდეგ ძალით დაიპყრო ახალი ხაზი ქარინჯ-წათერი, რითაც გერმანელთა სადარაჯო აიძულეს უკან წამოსულიყო.

შექმნილი მდგომარეობის განხილვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაავალა საგარეო საქმეთა მინისტრს, აცნობოს ჯამალიანს, რომ თუ სომხის ნაწილები ეხლავე დაუყონებლივ არ დასცლიან იმ ადგილებს, რომელიც ჩვენ ოსმალოების წასვლამდე გვეჭირა. ქერინჯ-წათერნ—მდ. კამენკას ხაზიანად, ან შემდეგში დაიპყრობენ რომელიმე ნაწილს ტფილისის გუბერნიისას მაშინ **საქართველოს მთავრობა ამას ჩასთვლის სომხების მხრივ ახდილ სამხედრო** მოქმედების დაწყება და ამის შემდეგ სომხებს დაეკისრებათ პასუხის გება ორივე რესპუბლიკისათვის დამღუპველ შედეგებისა. ეს ნოტა უკვე ჩაჰბარდა ჯამალიანს.

მთავრობა იმედს არ ჰკარგავს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანის გზით იქნება თავიდან აცილებული.

## ქ-ნ ნინო ნაკაშიძის წერილის გამო

პატივცემული ნინო ნაკაშიძე „სახალხო საქმის" ორ ფელეტონში, სახელდობ: „სახელმწიფოს შენება და ქართველი ქალი" ისეთ საკითხს შეეხო, რომელიც მწვავედ ხვდება ქალის განაწამებ გულს—ეს ქალთა საკითხია, უკეთ რომ ვსთქვათ ქალთა თავმოყვარეობის საკითხი, რომლის შელახვას ის წლების სივრცეზე განიცდის და მის გარკვევისათვის ბრძოლაში ისევ და ისევ დამარცხებული რჩება. არ იქნა აღდგენა უბრალო ჭეშმარიტების, რომ ქალიც ადამიანია და ისეთივე პირობებს ითხოვს იგი თავის არსებობისათვის და პიროვნების დაცვისათვის, როგორც მამაკაცები. რათ არ არსებობს მამაკაცთა საკითხი, ნუ თუ ყოველი მამაკაცი ისეთ ღირებულებას წარმოადგენს, რომ მას ვერ მისწვდება ქალი? ამის ასახსნელად დღემდის ბევრი დაუსაბუთებელი მიზეზები წამოყენებულა. შესაძლებელია დღესაც ჰყავდეს ერს ისეთი მახინჯი შვილნი, ვინც უარყოფს ქალის უფლებებს, მაგრამ ამ ადამიანთა დამამცირებელმა კვლევამ უკვე დრო მოსჭამა და მწარე მოგონებას ჩაბარდა. ყოველ შემთხვევაში არსებული დემოკრატიული წესწყობილება მის გაურკვევლობას ვერ შეეგუება და ბედით გამწარებულ ქალს მიანიჭებს მას, რასაც ის სამართლიანად ეძიებს. უსულ-გულო ბიუროკრატიული მართებლობა მას მუდამ ჩრდილში აყენებდა და დღეს, როდესაც მან უკვე მზის სხივები იხილა, და ჩვენ ვგრძნობთ ამ ბრწყინვალე დღის გათენებას, უკან დაბრუნება შეუძლებელია. ჩვენი დემოკრატია მისი განხორციელების თავდებია, თუმც თავის თანასწორ მუშაკად სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობისათვის, მან ადგილი თავის გვერდით ქალს ჯერ ჯეროვნად მაინც არ მიაკუთვნა. მაგრამ ეს დღის საკითხია, ჩვენი დემოკრატია ახსნის დაგანგებულ ბორკილს უკუღმართად შობილ საკითხს და ქალს თავის ღირსეულ ამხანაგად აღიარებს. ნეტავი თუ არის რამოდენიმე მაინც შეგნებული ქალი, ვისაც ეს „ქალთა საკითხი" ნერვებს არ უშლიდეს და მის თავმოყვარეობას ლახვარს არა სცემდეს! ყოველი განკერძოებული მოქმედება ქალთა სახელით მონათლული, როგორიც არის ქალთა წრე, ქალთა საჩაიე და სხვა ამათი მზგავსი ქალთა საქმიანობა ერთნაირ, უკმაყოფილების გრძნობას იწვევს ქალში, ვინაიდან იგი დამამცირებელია მისი შეგნებისა. ამის გარეშე, მის უახლოეს [illegible] შეადგენს სრულებითი ლიკვიდაცია ასეთი საქმიანობის, რომ იგი შეიცვალოს აზრიანი, აქტიური მუშაობით ყოველ დარგში.

ქ-ნი ნინო თავაზიანი კილოთი გამოსთქვამს შიშს, რომ ძველი კანონმდებლობა მამაკაცს ანიჭებდა უპირატესობას და თუ ქალი კანონმდებლობასთან ახლოს არ იქნა, მოსალოდნელია ქალთა უფლებები დღესაც დაცულ არ იქნეს. იგი გამოსთქვამს სურვილს, რომ ქართველმა ქალმა შეიგნოს თავის მოვალეობა დღევანდელ პირობებში და ანგარიში გაუწიოს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიჩუმე მომასწავებელია იმისა, რომ სათქმელი არაფერი აქვს, რომ მას არ შეუძლია თავისებური რამ შეიტანოს ცხოვრებაში.

ჩემის ფიქრით, ამ მოვლენის მიზეზი უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ, ვინემ ქალთა გულგრილობაში. ჩვენი ქალთა დიდი უმრავლესობა მოუმზადებლად შეხვდა დიდ მომენტს, მას არ აღმოაჩნდა ის ცოდნა, რომელიც საჭიროა აღმშენებლობითი მუშაობისათვის და ამით უნდა ავხსნათ ის [illegible], ოდეს ჩვენი ბედის ხელმძღვანელთ მას ანგარიში არ გაუწიეს და ქალი მოქმედების გარეშე დასტოვეს. რასაკვირველია ეს მათ არ ამართლებს, რადგან იმ მცირე ნაწილსაც, ვისაც სრული შეგნებით ნაკისრ მოვალეობისადმი შეეძლოთ მათთან ყოფილიყვნენ, გვერდი აუარეს და მით დემოკრატიულ პრინციპს უღალატეს.

მწარე სინამდვილე გვავალებს ჩვენ ქალთა განათლებას მეტის ზრუნვით მოვეპყრათ. საჭიროა ყოველ წლივ ევროპაში მათი გზავნა, რომ ყოველ დარგში სპეციალურად მომზადებული ქალი გვყავდეს ერთად ერთი [illegible] რომლის საშუალებით ქალი შესძლებს თავისი ერის სამსახურს. ცოდნა არის, ერთად ერთი საშუალება, რითაც ქალი აღადგენს თავის შელახულს პიროვნებას, არის მხოლოდ ცოდნა.

დღემდის ჩვენი ქალის გონების სალარო, მცირე გამონაკლისით, არ წარმოადგენს ისეთ სიმდიდრეს, რომ მან შესძლოს სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობას აკუთარი შემოქმედების დაღი დაასვას. ეს უსათუოდ მომავლის საკითხია და რასაკვირველია ჩვენზე დამოკიდებულია, თუ რა სისწრაფით ვაქცევთ მას სინამდვილედ და როდესაც ქ-ნი ნინო დღევანდელი მომენტის გამოუხმაურებას ქალის მიერ აწერს მას, ვითომ სათქმელი არა ჰქონდეს—ეს ნაჩქარევად გამოთქმული აზრია, მასში უფრო წყენა გამოსჭვივის. სათქმელი მას ბევრი აქვს, მაგრამ არ იცის როგორ სთქვას, რა ღირებულების სამოსელში გახვიოს იგი.

ბედმა ის განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა და როდესაც მზად ვერ დაუხვდა, ტრაგედიად გადაექცა.

ეჭვს გარეშე, ცხრა კლიტულში მომწყვდეული დღემდი მისი ნება-სურვილი იხსნის თუ არა თავის ტყვეობიდან, ის მიაშურებს იმ მეცნიერების ტაძარს, რომელიც მისცემს მას საშუალებას ღირსეულად ემსახუროს თავის ერს და ყოველ მნიშვნელობას მოკლებულ ქალის სახელს ნდობა და პატივისცემა მოუპოვოს. ეს დრო ჯერ არ დამდგარა, მის დაგვიანებაში ქართველ ქალს ბრალი არ უდევს, ის გამოწვეულია მასზე დამოუკიდებელი მიზეზებით მხოლოდ მის მოახლოვებისათვის კი მოვალეა გაორკეცებული ენერგიით იზრუნოს. მე მრწამს, ქართველი ქალის დიდი მომავალი, მრწამს მისი დიდი საქმიანობა მშობლიურ ნიადაგზე და როდესაც ის განმტკიცდება, საქართველოს დაუდგება ბრწყინვალე დრო თავის არსებობის.

თ. ჯაფ—ძისა.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი ლ. ა. ხარაძე** იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ვერქეიშვილის ქუჩა № 87 ავჭალის უდიტორიის ახლო. 2105

**ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი** (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 [illegible] აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი.** მიიღებს ვენერიულ საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოვაია [illegible]" № 34. 301

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია.** იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

**ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი** განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

**ექიმი ქალი რ. ბ. ზოზლო-ხაბაზმალი** მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ვორონცოვის ძეგლის ახლო ტელ. 9—26. 5087

**ექიმი დიმიტრი იოსების ძე შორდანია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლეობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 6—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდუბე ტელ. 104. 2040

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე** იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მის შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, კუჭისა და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 1126

**ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ნ. მეჯრიბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფთა ქლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრო-კაბინეტი. გამოკვლევა და წამლობა სხივებით, თავის [illegible] ვების ტიპის, დიდი [illegible], განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვის სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92. 1340

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმი ი. ქ. აბაშიძე** შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

**ექიმი მაჩაბლიშვილი** მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საბებიო სასწავლებელში და ინტერნად კიევის ქალაქის საავადმყოფოში. მიიღებს საბებიო საშვილოსნო ავადმყოფ 4—6 საათზე კვირის გარდა ნიკოლოზის ქუჩა № 22 ვორონცოვის ძეგლის ახლო. 2108

**ექიმი პავლე არდაზიანი** შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12 1060

**ექიმი შ. მუსხელიშვილი** იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორდანოვის ქ. № 6.

**რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი**
წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევენშტეინისა**
მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

**კერძო სამკურნალო**
**ექ. ა. დ. ალექსიძის**
მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.
**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.
**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიული, სიფილის 606—914 (ერლიხ) 11—12 ს.
**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.
**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.
**მ. ნ. იზხელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.
**ხ. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს
**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).
ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.
სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.
მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.
სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

**ექიმ ნაგახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
**ა. ა. ნაგახარდიანი**—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის, ავადმყ.
**ე. ი. მაზნეფი**: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა
**ბ. ზ. ავახაროვი**: 10—12 ს ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ავეტისიანი**—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.
**დ. ი. ჯაფარიძე**: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
**მ. ნ. ზენიამოვიჩი**: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი
**ხ. გ. ავეტისიანი** —9—11 [illegible] ბავშვთა ავადმყ.
**ი. ა. ტერ-გრიგორიანცი**. 1—3 ს. შინაგანი
საღამოთი:
**ხ. გ. ავეტისიანი**: 11—12 ს. სპეციალური ბავშვთა სნეულებანი.
**ა. ნ. იმაკიანი**: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
**ღირს:** თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე" ბარონის ქუჩა